

1951/3



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

11
1951



პიონერი

საქართველოს აშკა ცენტრალური კომიტეტის
უმცველობისაი საბაზეზო უშანები

№ 11 ნოემბერი 1951
ხაბლითგამი
ფელიჯაღი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



ასე არის ახლა, ასე იყო ძველად:
ჩვენ არავის ვერჩით, ჩვენ ძმები ვარ ყველა.

აბა მოიგონეთ, განა საღმე თქმულა,
რომ სხეს დაუცემოდით ყაჩალურად, მტრულად?

დიდმა რუსის ხალხმა ჩვენ სხვადასხვა ერთან
შეგობრობით შეგვერა, ძმურად შეგვაერთა.

ვამბობთ ომი არ გვსურს! და ვასრულებთ კიდეც,
ზეპირად კი არა, საქმით დავამტკიცეთ.

ჩვენ სტალინმა გვზარდა, შრომას დაგვამაგრა,
ჩვენ სტალინმა გვზარდა მშეიდობისთვის... მაგრამ

ვიტყვი: თუ კი, ომის ქარმა ჩაგვიქროლა,
— ერთნაირად გვიყვარს მშეიდობაც და ბრძოლაც!

ი. გრიგაზევილი



8
მუკი

8. ი. ლენინი და ი. ჩ. სტალინი

დიდი ოქტომბერი

1917 წლის 7 ნოემბერი (ძვ. სტ. 25 ოქტომბერი) ყველა ქვეყნის მშრომელთა უდიდესი გამარჯვების დღე იყო. დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში პირველ საბჭოთა სახელმწიფოს. იმ მარადსახსოვაო დღეს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ახალი ეპოქა — კაპიტალისტური მონაბიძის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების ეპოქა.

ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სრული თავისუფლება მიინიჭა, სამუდამოდ მოსპოტ ექსპლოატაცია, სიღატაკე და მშრომელთა გაჩინაგება, კაპიტალისტებსა და მემამულეებს ჩამოართვა უკანონოდ მითვისებული მთელი სიმღიღრე და იგი ხალხის კუთვნილებად გამოაცხადა. სოციალისტური საკუთრება მთელი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლად იქნა აღიარებული. სახალხო მეურნეობა ერთიან სახაობო სოციალისტურ მეურნეობად იქცა, შესაძლებელი გახდა მისი გეგმიანი მართვა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რე-

ვოლუციამ ჩვენს მომავალ თაობას — ჭაბუკებსა და ქალიშვილებს — მოუტანა ბეღნინერი ცხოვრება, შეუქმნა მათ ყველა პირობა სწავლისა და კულტურული დასვენებისათვის. საბჭოთა ახალგზირდობის განკარგულებაშია საბავშვო თეატრები, ბიბლიოთეკები, კულტურის დიდებული სასახლეები, სანატორიუმები, სპორტული მოედნები, მდიდრულად მოწყობილი ლაბორატორიები, ნორჩი ტექნიკოსთა და აგრობიოლოგიური სადგურები. ყველა ეს დაწესებულება საშუალებას აძლიერს ჩვენს ბავშვებს წარმატებით ისწავლონ, იმუშაონ და დაისვენონ.

უდიდესი ბეღნიირებაა ცხოვრობდე საბჭოთა ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც ყოველი ადამიანი, რა ფერის კანიც არ უნდა ჰქონდეს, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს, თავისუფალი, ბეღნიერი და საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია.

საბჭოთა წყობილების მაღლიერმა, ბეღნიერმა მშრომელმა ხალხმა და მისმა საბჭოთა



არმიამ ჯერ სამოქალაქო ომში, ხოლო შეგ-
დეგ დიღ სამამულო ომში გმირულად დაიც-
ვეს მტრისაგან სოციალისტური რევოლუ-
ციის მონაბოკარი და უდიდეს მსოფლიო-
ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიოს.

ჩვენი ქვეყანა არასოდეს ამ ყოფილა ისე
ძლიერი, როგორც ახლაა. ამ ექონომიკურმა,
კულტურულმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ
გამოსატულება პპოვა იმ უდიდეს ავტორი-
ტეტსა და სიყვარულში, რითაც ჩვენი ქვე-
ყანა მთელს პროგრესულ კაცობრიობაში სარ-
გებლობს.

საბჭოთა კავშირი მეთაურობს დემოკრატი-
ულ ძალებს, მშვიდობის საქმეს. ახლა მას
დასაგლეთით მეზობლად ჰყავს მეგობრი სა-
ხელმწიფოები: პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის,
უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალ-
ბანეთის სახალხო დემოკრატიის რესპუბლი-
კები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა, რომელებიც საბჭოთა კავშირის მაგა-
ლითოთ მტკიცებ დანანა სოციალიზმის მშე-
ნებლობის გზაზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით
ჩივენი ქვეყნის მეგობრები არიან მონგოლე-
თისა და დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლი-
კები და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღ-
მდეგ გმირულად მებრძოლი კორეის სახალ-
ხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელ-
თა მიერ კულტურული მშენებლობის კველა
დარგში მოპოვებული ისტორიული და გეოგრაფი-
კულტურული ძეგლების საცოთა კატეგორია. მისი
ძეგნიერი ხალხის ცხოვრებისა და მუშაობის
მაგალითის გაზიარებით, საბჭოთა კავშირის
ძმური დახმარებით. ამიტომაც არის, რომ
სსრ კავშირის მხარდაჭხარ მშვიდობისათვის
გმირულ ბრძოლას ეწევიან ეს ქვეყნები.

მსოფლიოს კველაზე რეაქციული იმპერია
ალისტები, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, სულ უფრო და უფრო აძლიერებენ შეკარალებას და ამზადებენ ახალ ემს. მაგრამ მშვიდობისათვის მოძრაობა მასობრივად გავრცელდა მსოფლიოს კველა ქვეყანაში. მშვიდობის ფრონტი სულ უფრო და უფრო ძლიერდება, იგი მოიცავს ასეულ მილიონობით ადამიანებს. მშვიდობის, დემოკრატიისა და კომუნიზმისათვის მებრძოლ ძალთა გრძიაღური მედროვეს დიდ სტალინის მეთაურობით მშვიდობა გაიმარჯვებს ამზე.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია
კომუნიზმისა და მშენდლისათვის ბრძოლის
დიდ გზაზე მსოფლიოს მშრომელთა ჩირალ-
დანია.

୭. ଟର୍ମିନେସ୍‌ନାମିକ୍

၂၀ ၄၅ ၁၇၈၃၂၁ ၂၄၀၂၀၂၀၆၁၃

აი, ჩევენ ქეყუანაში კულტურის გრანდიოზული განვითარების ზღვიეროთ ციფრები:
ოქტომბრის რევოლუციამდე მეტის რუსთის მოსახლეობის $\frac{2}{3}$ წერა-კითხვის უკოდინარი იყო.
ხასკოლო ასაკის ბავშვთა $\frac{4}{5}$ სკოლაში არ დაღიძდა. ათას მოსახლეზე მ- ღიძიდა მხოლოდ 47 მოსწავლე.
ბერი არარუსი ხალხის მოსახლეობის 1-3 პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნებ, ხოლო დაკუტიკის
თურქების, ყირგზებს და რუსთის სხვა განაპირა ქვეყნებში მცხოვრებთ შორის წერა-კითხვის მცოდნება
რაოდენობა პროცენტის მეტადი ნაწილით განისაზღვრებოდა. მეტის რუსთის 40 ხალხს არ
შეინდა საკუთარი დაწერლობა.

ଶ୍ରୀଲଙ୍କାରୀ ଶ୍ରୀତଥିଲେଏବୁଦୀସ ମାନ୍ଦିଲିଙ୍ଗ ହିନ୍ଦୁନ୍ଦି ଜ୍ୟୋତିଷ ମତଲାନ୍ଦାର ଲୀପିବିଳିନ୍ଦର୍ଶନୀ ଛେଣା-ଫଟକ୍ସିପି ଉତ୍ସବିନାରାମବା.

1950 წელს მოსწავლეობა რაოდენობა, დაწესებით, შვიდწლიან, საშუალო სასწავლებლებსა და ტექნიკურებში 37,9 მილიონ კაცს შეადგინდა.

საბჭოთა ხარხს ემსახურება 127 ათასზე მეტი კულტურის სასახლე და საცლი, კლუბები, 300 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების ფონდი მიღინდობით ეგზემპლარს შეიცავს, 800-ზე მეტი თეატრი.

მზროვლებული ბავშვებს აქტონბრის რევოლუციაშ მოუტანა გენდიერი და მხიარული ცხოვრება.
მარტი მისი შემდგომ წლებში საბჭოთა ბავშვებისა უკინებდა ალდგენილია და ხელახლა მოწყვებილია
914 პიონერთა სასახლე და სახლი, 596 წლები დანერთისთვის და ნატურალისტთა სადგური, 23 ბავშვთა
მასატკრული აღზრდის სახლი. საბავშვო გამაცემელობები ყოველწლიური უშვებენ მილიონობით
წიგნებს ბავშვებისათვეს.



ქართული გორგი

დღეს უჩვეულო დილა გათენდა,
 ჩურჩულებს წყნარად მშრომელი გორი;
 უღრუბლო ზეცა სხვა შუქს აფენდა,—
 მზე გამობრწყინდა ქალაქში ორი.

დღეს ცის კარები გაიხსნა ათად,
 იგი თვით მხეზეც იყო ნათელი;
 ბელადმა გორგი შემოანათა,
 მიწამაც იგრძნო სხვა ურუანტელი.

ესალმებიან ხეებიც კრძალვით,
 ბრძნი კიშკართან მისული ღელავს,
 ფეხს იდგამს თითქოს პატარა სახლი
 და გულში იკრავს სოსოს—დიდ ბელადს.

დავით ლაროვა



ხართ გაზაფხული ჩვენი ქვეყნისა

თბილისის ქალა 24-ე სკოლის ბიონერებს

ს ე იწყება სამშობლოს დილა,
 როგორც იწყება თქვენი ბავშვობა;
 და მინდა ვიყო მეც თქვენი ჭბილა,
 მსურს თქვენთან სწავლა და თამაშობა.

თქვენ არ გინახავთ სუსტი წარსულის,
 თქვენთვის მუსიკალუნენ მტარგალს გმირები;
 თქვენ ჩვენი ქვეყნის ხართ გაზაფხული
 და მერცხლებივით მოფრენილები.

თქვენზე ოცნებობს დიდი ბელადი,
 მისი ზრუნვით ხართ მხნე და ძლიერი,

იმიტომ მოსპო მტერი ვერაგი,
 თქვენ რომ გქონოდათ დღე ბედნიერი.
 თქვენთვის მლერიან ჩვენი მგოსნები,
 ჩემი კალამიც თქვენთვის ირწევა,
 თქვენა ხართ გმირი ჩემი ოცნების,
 გულს რომ არასდროს არ ავიწყდება.

მაღლობა ძვირფას ამ შეხვეღრისთვის,
 დე, ჩვენი სიტყვა, ლექსი და ტაში
 ყუმბარა იყოს გარეწარ მტრისთვის,
 დროშა ჩვენს ყოველ გამარჯვებაში.

ანდრო თევზაბე



ქართველი

ჩანაეკი



ე 3 0 4 0 დ ე ბ 0 *



ქართველი ჩაპაევი — ასე უწოდებდნენ სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირს ვა-სილ კიკვიძეს.

კიკვიძემ მხოლოდ 24 წელიწადი იცოცხლა, მაგრამ თავისი ხანძოკლე ცხოვრების მან-ძილზე იმდენი ვაჟკაცობა და გმირობა გა-მოიჩინა, რომ მისი სახე სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის მესხიერებაში. დღეიზაა, რომელსაც 1918 წელს კიკვიძე მეთაურობდა, აქამდე მის სახელს ატარებს. სტალინგრა-დის ოლქშა ადგილს, სადაც კიკვიძე იბრძო-და და მოკლეს, ახლა კიკვიძის რაოთნი ეწო-დება. კიკვიძის რაიონის მცხოვრებთა შუა-მდგომლობით აქ უნდა იქნეს გაღმოსვენებუ-ლი კიკვიძის ნეშტი. რომელიც დაქრძალუ-ლია მოსკოვში, ვაგანჯოვის სისაფლაზე,

ვასილ ისიდორეს ძე კიკვიძე დაიბადა ქა-ლაქ ქუთაისში 1895 წელს. რევოლუციური პროპაგანდისათვის 1914 წელს ის გამორი-ცხეს გიმნაზიიდან. იმ წელს დაიწყო პირვე-ლი მსოფლიო ომი, და კიკვიძე ჯარში გაი-წვიეს. კიკვიძე პოლკშიაც განაგრძობდა რე-ვოლუციურ პროპაგანდას, რისთვისაც დაპა-ტიმრეს. მას სამხედრო სასამართლო ელოდა, შესაძლებელია დახვრეტაც, მაგრამ თებერ-ვლის რევოლუციამ გაათავისუფლა იგი. კიკვიძე დადგა ბოლშევიკების პოზიციაზე. ჯარისკაცებმა ის აირჩიეს დივიზიის კომიტე-ტის თავმჯდომარედ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კიკვიძე წარმატებით იბრძოდა უკრაინაში „გარდამა-კების“. წინააღმდეგ (ასე უწოდებდნენ კე-ბის) რაზმს, რომელიც იცავდა კულაკებისა და ბურჟუაზის ინტერესებს. როდესაც უკრა-ინას თავს დაესხნენ გერმანელ იუბანტითა პოლკები, კიკვიძე იბრძოდა მათ წინააღმდეგ: ის ხარკოვის თავდაცვის ერთ-ერთი ხელ-მძღვანელი იყო. შემდეგ ვასილ კიკვიძე დაი-ნიშნა დივიზიის მეთაურად, ხოლო 1918 წლის ივნისში გაგზავნეს ცარიცინის (ახლან-დელი სტალინგრადის) ფრონტზე.

* ქ. „ეპიზოდები“ დაწერილია სპეციალურად ჩვე-ნი ურალისათვის.



ცარიცინის თავდაცვას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. კიკვიძის დივიზია შედიო-და დამცველთა იმ ჯგუფში, რომელიც გმირ ქალაქს ჩრდილოეთის მხრივ ითარავდა.

უნიტარული, თავდაცვიშვებამდე გამბედნები, უნარიანი კიკვიძე მალი შეიქნა საშიში გერ-მანული იმპერიალიზმის დაქაშ თეთრკაზა-კთა ატამან კრამბნივისათვის.

1919 წლის იანვარში კიკვიძის მშვენიერი სიცოცხლე მტრის ტყვიით იქნა შეწყვეტი-ლი.

შევით ჩვენ მოგვიას რამდენიმე ეპიზო-დი კიკვიძის საბრძოლო ცხოვრებიდან.

მოუღონედი ცეცხლი

ბრძოლა იყო სადგურ ალექსიცოვოსთან. კიკვიძე ზოლებიანი ჯავშნოსანი ავტომან-ქანით, რომელსაც წითელარმიელებმა „ვეფხ-ვი“ უწოდეს, შექროდა თეთრების შესახვედ-

რად და შეუბრალებლად ანადგურებდა მათ
შემომტევ შარს.

ერთ-ერთი ასეთი რეიდის დროს ჯავშნო-
სანი მანქანა უცებ გვერდზე გადაიხარა და
შეჩერდა.

— გვესროლეთ, ეშმაკებო! — შესძახა
მტერს კიკვიძემ. — ახლა კი დადგა „ვეფხ-
ვის“ ოლსარულა, — ჩაილაპარაკა მან.

მძღოლმა სწრაფად გააღო სარქველი, მა-
მოქედა, გადმოხტა მიწაზე და ერთი წუთის
შემდეგ შკანვე შეძრა მანქანაში.

— ეს იარაღის ბრალი არ არის, — დამნა-
შავედ წარმოთქვა მან, — ორმოში ჩავცივ-
დით...

მანქანა არ იყო დაზიანებული, მაგრამ ორ-
მოდან საკუთარი ძალით მისი ამოსვლა შე-
უძლებელი იყო.

— დანებებით, მე მგონია, არ უნდა დავ-
ნებდეთ, — თქვა მძღოლმა, — გასულ კვი-
რას ჩვენი ორი მეგობრის გვამი ვნახე... ერთ
მათგანს ტანზე ამოჭრილი ჰქონდა ასოები,
მეორეს კი ტანი ჰქონდა დაჩხვლეტილი...
უშვილესია აქვე ავფეთქდეთ „ვეფხვთან“
ერთად, ვიდრე მტერს ხელში ჩაუუარდეთ.

— რა გაეწყობა... შესაძლებელია... მხო-
ლოდ ეს ყოველთვის მოესწრება, — ჩაილა-
პარაკა კიკვიძემ.

გარედან მოისმა შეძახილები. ხმაურზე შე-
იძლებოდა გარჩევა, რომ თეთრეკაზაკები ხო-
ვით უახლოვდებოდნენ „ვეფხეს“. აშკარა
იყო კაზაკების მიერ გარშემორტყმა.

— ისროლე! — უბრძანა კიკვიძემ მეორე
მეტყვიამფრქვევეს. მეტყვიამფრქვევემ სას-
წრაფოდ გახსნა ცეცხლი.

— კარა! — ჩაილაპარაკა კიკვიძემ.
ტყვიამფრქვევი დადუმდა.

— ვაზნები! მოიტა ახალი ლენტები! —
უცებ მთელი სიძლიერით დაიყვირა კიკვიძემ.
შეომარმა მყისვე შეხედა კიკვიძეს, შემ-
დეგ კი მთელ გროვა მომარაგებულ ლენ-
ტებს.

— დაიყვირე „არ არის ვაზნები!“ — ჩა-
ნურჩულა კიკვიძემ.

— ვაზნები არ არის! — დაიღრალა მეტ-
ყვიამფრქვევემ.

მთელი ეს დიალოგი გარჩევით ესმოდათ
თეთრეკაზაკებს.

— გესმით, კომუნისტებო? — ყრულ მო-
ისმა ერთი წუთის შემდეგ ჩახლეჩილი ხმა.

— დაგვნებდით!

— ვერ ეღირსებით! — გასძახა კიკვიძემ.
თეთრეკაზაკებმა დაიწყეს ბჭობა.

— ვესვრი ერთ შეკვრა ხელყუმბარას და...

— თქვა ერთმა თეთრეკაზაკმა.

— უტვინოვ! ცოცხლად მაგისთვის 30
ათასს გვპირდებიან.

— კი, მაგრამ მანქანიდან როგორ გრძე-
გამოიყვანო?

კიკვიძე მიეკა მანქანის კედელს როგორ გაეგონა მათი კამათი.

„თოთქმის კენქავენ!“ — გაიფიქრა მან.

კაზაკები ფუსფუსებდნენ მანქანის ირგვ-
ლივ.

— თოთქმის აბამენ! — თქვა მძღოლმა.

კიკვიძემ მრავალმნიშვნელოვნად მიიღო
თითი ტუჩებზე და დაიკავა თავისი ადგილი
მეტყვამფრქვევესთან.

— ბატონი იასაულო! მზად არის! — მო-
ისმა ხმა გარედან.

მძიმე მანქანა შეინძრა... და ისევ გაჩერდა.

თეთრები რომ დარწმუნდნენ ტყვების უმ-
შეობაში, შემოერტყნენ ჯავშნოსანს და იფლ-
ში გარქვირულებმა დაუწყეს მანქანას ირშო-
დაა ამოთრევა. დიდი ხნის წვალების შემდეგ
მანქანა ორმოდან ამოათრის.

— შეაბი ცხენები! — გასცა განკარგულე-
ბა იასაულმა, — მიიყვანე ესენი შტაბმადე.

— გმადლობთ! — გასძახა მათ კიკვიძემ;

— აბა, ახლა იმსჯელეთ.

ჯავშნოსანიდან უმალ გახსნეს ტყვიამფრ-
ქვების ცეცხლი და სანამ თეთრეკაზაკები
გამოერკვეოდნენ, ათი კაცი განგმირული
დაეცა.

— დასძარი მანქანა! — უბრძანა კიკვიძემ მძღოლს და ჯავშნოსანი გრუხუნით წინ გაე-
მართა.



ჯავშნოსანიდან უმალ გახსნეს ტყვიამფრქვებების
ცეცხლი...

თეთრების შტაბში

ერთხელ კიკვიძეს მოახსენეს, რომ მეომ-რებმა ტყვედ ჩაიგდეს თეთრების ერთ-ერთი გამოჩენილი ოფიცერი — როტმისტრი თავა-დი ჭავჭავაძე. დავიზის მეთაურმა ბრძანა მისთვის შეკვანათ ტყვე. კიკვიძემ შენიშნა, რომ როტმისტრი ჭავჭავაძე მას საერთო იე-რით ჰგავდა... დაწვრილებით გამოჰკითხა ტყვეს, თუ სად, ვისთან და რა დავალებით ძოდიდა იგი.

ერთი საათის შემდეგ კიკვიძემ ბრძანა მი-ეყანათ მისთვის მსუბუქი მანქანა.

კიკვიძის დანახვაზე შძლოლი განციფრდა: დავიზის მეთაური გამოწყობილი იყო თეთ-რების ტანისამოსში, ოქროს სამხრებით, მხრებზე კოხტად წამოსხდული პქონდა ნაბა-დი.

— თეთრებთან! — ბრძანა მეთაურმა.

დამალა რა თავისი გაკვირვება, შძლოლმა გაუშვა აირი.

— დაიცადე, მიიყარი ეს მხრებზე! — უთხა კიკვიძემ და გაუშოდა მას თეთრების ჯარისკაცის სამხრები.

მანქანა სიბნელედ შთანთქა. მკრთალი შუ-ქი ძლიერ ანათებდა შემხვედრ ხეებს.

— ვინ მოდის? შეჩერდი!

შძლოლმა სწრაფად შეაჩერა მანქანა. მკრთალ სინათლეზე გამოჩნდა ურიადნიკის შეკრეპილი უღვაშები. კიკვიძემ ქედმალ-ლურად გადააწოდა მოწმობა. ურიადნიკმა მოწმობა ჩათვალიერა, რომელზედაც იყო გენერალ კრასნოვის ხელმოწერა, თან უკ-ვირდებოდა ნაბადევეშ იქროს სამხრებს.

— გაუშვით მისი მაღალევთილშობილება, — წარმოთქვა მან სიბნელეში, — შტაბამდე ირი ვერსი იქნება, მეორე სახლია სკოლიდან. — გადიხარა მძლოლიაკენ და დაუშატა: — როცა ხილშე გაიღლი, მანქანა ნელა გაა-ტარე, ფიცრები დამაბალია.

შტაბში კიკვიძემ გამოიძახა აღიუტანტი მორიგე ოფიცერი.

— შტაბის უფროსს ვთხოვ მიმიღოს, ძლი-ერ საჩქარო საქმე მაქვს, მე როტმისტრი თავადი ჭავჭავაძე ვარ, დავალება მაქვს დო-ნის ჯარების ატამანისაგან.

მორიგე თვითურმა კიკვიძეს მოწიწებით შესთავაზა სკამი, თვითონ კი პოლკოვნიკ-თან შევიდა. ასმდენიმე წუთის შემდეგ დაბ-რუნდა და სტუმარს მოახსნა:

— პოლკოვნიკი გელოდებათ.

— აგრე ჩქარა? შე კი იმედი მქონდა, რომ დავისვენებდი, სე მანჯლრია მანქანამ... — ეშმაკური ლიმილით უთხა კიკვიძემ ადიუ-ტანტს, მაგრამ ის წუთსვე სერიოზული სა-ხე მიიღო, შეისწორა ვიწრო მუნდირი და შტაბის უფროსისაკენ გაემართა.

ელაში შოთარი პოლკოვნიკი ხელობის ფშვეტით შეეგება.

„სწორედ ისეთია, როგორც მიწურულის თეთრება“ — კმაყოფილებით გაიფიქრა კიკვი-ძემ.

— დიდი ხანია არ მინახავხართ, როტ-მისტრო, — უთხა პოლკოვნიკმა, — უკანას-კნელად მის ბრწყინვალებასთან შეგვეღით, — პოლკოვნიკი თან პირვევარს იწერდა, — თქვენ კი, თუ არ ვცდები, დავაუკაცებულ-ხართ... სხვა ადგილას რომ შემხვედროდით, ვერ გიცნობდით.

ამ ღროს დავიზის მეთაურმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და პოლკოვნიკს მიაღო საფეხულება.

— მე კიკვიძე ვარ! თუ ხმას ამოიღებთ, მოგვლავთ.

პოლკოვნიკმა ინსტინქტურად აიფარა სახე-ზე ხელები და შეშინებული წაბარბაცდა მა-გილისაკნ.

— სად არის ქალალდები? — ცივად შე-ეკითხა კიკვიძე. — მე მჭირდება საიდუმლო ბრძანებები, შიოთრები, ცონბები ადამიანთა შემადგენლობისა და ცენტრა რაოდენობის შესახებ.

თუ რამე მოხდებოდა მოულოდნელად, კიკვიძე არავის ცოცხალს არ გაუშვებდა. ამას გრძნობდა პოლკოვნიკი და კიკვიძის წინშე თავს მორჩილად ხრიდა, შეშინებული ეხმა-რებოდა მას შეგროვილი ქალალდები საჩქა-როდ პორტფელში ჩატყო.

როცა საჭირო საბუთები შეაგროვა, კიკვი-ძემ უთხა პოლკოვნიკს:

— ახლა გთხოვთ წამობრძანდეთ ჩემთან მანქანით გასასეირნებლად. გაძლევთ პატიო-სან სიტყვას, რომ არც ახლა და არც შემ-დეგ არავითარ ზიანს არ მოგაყენებთ, პირი-ქით, ერთ მოულოდნელ სიამოვნებასაც გირ-დებით. მაგრამ სულ მცირე ზედმეტ მოძრა-ობაზე, რომ გსურთ დაუძახოთ ვისმეს მოსაშ-ველებლად, თქვენ ათ წამსაც არ იცოცხ-ლებთ.


მორიგე თვითურმა აინტერესებდა ამ ბრწყინვალე როტმისტრის მოსვლის მიზეზი, იდგა კარებთან და სულგანაბული უსმენდა, მაგრამ დაბურული კარებიდან მხოლოდ გა-ურკვეველი ისტყვები ისმოდა — ისმოდა ერთის ხმა, პოლკოვნიკი დუმდა, მაგრამ ეს არ აკვირვებდა მორიგეს, მან იცოდა, რომ მის უფროსს უყვარდა სხვისთვის მოესმინა.

მოულოდნელად კარი გაიღო და გამოჩნ-დენ „თავადი ჭავჭავაძე“ და პოლკოვნიკი. თავადს პოლკოვნიკისათვის მკლავში ხელი პქონდა გაყრილა.

— მე ჩქარა დავბრუნდები, — შეწუხებუ-ლი ხმით უთხა პოლკოვნიკმა თავის მორი-

გე რფაცერს და მუნიციპალს საყელო გაისწო-
რა, — ცოტას გავისერნებ როტმისტრთან
ერთად.

სტუმარმა თრი თითი მიიღო ქუდზე და
სწრაფად დაუშვა, შემდეგ მოშხიბლავი ლმი-
ლით განაგრძო მხიარული საუბარი თავის თა-
ნამგზავრთან. გასასვლელისაკენ გაემართენ. სადაც მათ მანქანა უცდიდა.



— მე კიყვიძე ვარ! თუ ხმას ამოილებთ, მოგძლავთ!

როცა მანქანა თეთრების პირველ საყარა-
ულოს გასცდა, კიკვიძემ მეგობრულად მი-
მართა პოლკოვნიკის:

— თქვენს ასაკში ასეთი მოუსვენარი და
საგანგაშო მოლვაშეობა შეიძლება?! ჩვენთან
თქვენ დაისვენებთ. კმაყოფილი უნდა იყოთ.
გიქვირებთ, ცუდს არაფერს შეგამოხვევთ.

კიკვიძეს მოულოდნელად რალაც მოაგონდა
და კმაყოფილებით გაიცინა:

— მე თქვენ მოულოდნელ სიამონებას
შეგპირდით. გასრულებ. თხუთმეტი წუთის
შემდეგ თქვენ შეხვდებით ნამდვილ თავად
ჭავჭავაძეს, რომელთანაც მოიგონებთ წარ-
სულს.

გ ა ნ ე მ ა ც ვ ა შ ი

ერთხელ, ბრძოლების დროს, ხუტორ ზუბ-
რილოვთან დივიზიის მეთაური კიკვიძე მზვე-
რავთა ჯაზუთათ ერთად ტყეში გაემგზავრა. მა-
ლე მზვერავები ტყეში გაითანტენენ, კიკვი-
ძე მარტო დარჩა და წელა გაჟყვა ვიწრო ბი-
ლიეს.

ბუნების სიმშვერდერით გატაცებული მეთა-
ური ღრმად ისუნთქავდა ტყის სუთთა ჰერს. და-
დაშვიდებულ ტყეს მასში მიეყუჩებინა სი-
ფხიზლე. კიკვიძე მშვიდად განაგრძობდა
გზას, და როდესაც მოულოდნელად მის
შეერდზე გაიღლა თოფის ლულაშ, ვერ
წარმოიდგინა, თუ რა მოხდა.

— ხელები მაღლა! — მოესმა მას.

ამ ხელზე იგი გამოერკვა და ორგვლივ მი-
მოიხედა. დაინახა კაჭაკები. ათი-თორმეტი
იქნებოდა. ხეებს ამოფარებოდნენ. სამი მათ-
განი მას უმიზნებდა, დანარჩენები ბორო-
ტად იღიმებოდნენ.

— ჩაგვიგარდი, ოქროვ?! — უთხრა უკან
მღვიმება, — ჩაგვიგარდი, წითელფრთიანო?!
გეტუმბა, არ ელოდი გარშემორტყმას!

კიკვიძე ცოტა ხანს ფიქრებში გართული
იდგა, შემდეგ ბრძანებით წარმოთქვა:

— დააგდე იარალი, თუ გინდა ცოცხალი გა-
დარჩე. თქვენ გარშემორტყმული ხართ ჩემი
ჯარისკაცებით, გაძლევთ ნებას წახვიდეთ და
შეამწმოთ, არ წუთს გაძლევთ.

ეს რომ თქვა, ჯიბილან საათი ამოილო და
დრო დანიშნა.

თეთრკაზაკები შეშფოთდნენ. ერთმა
მათგანმა ჩაიცინა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა.
კიკვიძე იდგა მათ წინაშე ხელში საათით, და
თითქოს შეუბრალებელი ბედი მათი სი-
ცოცხლის დარჩენილ წამებს თვლიდა.

— კი, მაგრამ ვინ ხარ შენ? — დაუძახა
ბოლოს ერთმა კაზაკთაგანმა.

დივიზიის უფროსმა მბრძანებლურად შე-
მართა ხელი:

— მე კიკვიძე ვარ!

თეთრები შეკრთნენ. ეს სახელი მითვეს
კარგად იყო ცნობილი.



— ვინც იარაღს დაყრის. მას სიცოცხლეს შევუნარჩუნებ...

— თქვენ დაგრჩენიათ სულ ნახევარი წუთი. — აულელვებლად განაგრძო კიკვიძემ და ცივად გამომეტყველი თვალები გადაავლო ყველას. ყოველ მათგანს მოეჩვენა, რომ კაჭვიძე მხოლოდ მას უცქეროდა.

— ვინც იარაღს დაყრის, მას სიცოცხლეს შევუნარჩუნებ, ჩემს სიტყვას შეგიძლიათ ენდოთ. ვინც წინააღმდეგობას გასწევს, ადგილზე იქნება მოკლული. უკანასკნელ წინადადებას გაძლევთ, დაგვნებდით.

საათი ჯიბეში ჩაიდო. ტუჩზე სასტვენი მიიღო, რომელიც წვრილი ფოლადის ძეწვეთ ეკიდა გულზე. ამ მოძრაობამ საბოლოოდ დათრგუნა კაზაკები. მათ მიწაზე დაალაგეს თოლები და ხმლები.

„მიდიან ისანი ჩემ წინ შეურაცხყოფალი... — სიცოლით იტყოდა მოგონების დროს კიკვიძე. — მიხვდნენ, რომ მარტო ვიყავი. მართლაც ცუდი გამოდგა მათვის ჩემი ხუმრობა“.



მ ზ ი ა ს პ უ თ ხ ე



ზიამ კუთხე მოაწყო
ღოზუნგებით, წიგნებით,
მას რომ სახდში ესტუმროთ,
კმაყოფილი იქნებით.

კოხტად მორთო მაგიდა
და ოთახის კედები,
თუნდაც გეჩქარებოდეს,
მის კუთხესთან შედგები.

აქ მზიური ფერების
თითქოს გაზაფხულია,
იჩგვდივ ყველა სურათი
მზიას დახატულია.

აგერ გოგო-ბიჭები
ტრიბუნისკენ მიღიან,
აგერ გმირებს გულმკერზე
ვარსკვდავები ჰკიდიათ.

აგერ ბეღაღს გოგონა
ხედში აუყვანია
და მის ირგვლივ ბავშვები
ვარდებივით ყვავიან.

მზიას კუთხე კარგია,
ნახეთ, თვითონ გაჩვენებთ.
აქ ყველაფერს ზეიმის
სურათები ამშვენებს.

ო რ ი ა მ ძ ა ც ი

აკად. გენერ.

მხატვარი ა. ბანძელაძე

ათასხელა



1.

ცაზე იწვა დენთის კვამლი,
ცეცხლში იწვნენ ქალაქები,
ეს ქართველი ბიჭი მაშინ
მტერს ებრძოდა გააფთრებით.
ყუმბარებით გადახნული
გუგუნებდა მთა და ველი,
ბრძოლის ცეცხლში შეტევის ღროს
მან დაკარგა ცალი ხელი.
იმ დღეს წვიმდა, თითქოს ცრემლი
მოერია ცასაც, მზესაც,
მაგრამ გოლმხნე ჯარისკაცმა
ერთიც კი არ ჩაიკვნესა.
მას ხომ მუდამ სძულდა ხენეშა
და ნაღველიც მუდამ სძულდა...
...დაუბრუნდა მამულ-დედულს,
საქართველოს დაუბრუნდა.
გადახედა ქართულ ვაზებს,
ზერებს, ცასავით ფართოდ გაშლილს,
თვალმაყვალა ქალიშვილი
ამოუდგა ჭაბუქს მხარში.
გადახედა მწვანე ველებს,
ჯეჯილების ზღვებად გაშლილს,
და სოფელი თავის გაზრდილს
ამოუდგა წამსვე მხარში.

დღეს ვაჟკაცის ნათელ გულში
ბულბულიგით მღერის ლხენა;
ბრიგადა ჰყავს სანაქებო,
სანაქებოდ უვლის ვენას.
კარგად იცის ვაზის გასხვლა,
ვაზის მოვლაც კარგად იცის,
მყლავში ძალას უასკეცებს
სიყვარული მშობელ მიწის.
ვაჟკაცს ხელში რომ უჭირავს,
ეს ნაქები სასხლავია.
ვაჟკაცს მკერდზე რომ უბრწყინავს,
ეს მზისფერი ვარსკვლავია.
შემოდგომით ვენახიდან
იღიმება რქაშითელი,
ქმიარიც ისე მარჯვედ შრომობს,
თთქოს ჰქონდეს ასი ხელი.
გამრჯე მკლავით, გამრჯე შრომით
მან სოფელი ასახელა;
გამრჯე მკლავით, გამრჯე შრომით
მან სამშობლო ასახელა,
და ცალხელა ჭაბუქს ახლა
სიყვარულით მეტსახელად
შინაურნი, მეზობლები
ეძახიან ათასხელას.

3 მ დ ე ვ გ მ ი ს კ ა ნ ტ ი ც ბ ი

2.

უვით მზეც კი შავდება ამ მიწის მზერისა,
აქ კაცურ სიცოცხლეს დაულძა ფესვი,
მათხოვრებს ვერ იტევს ქალაქის გზები
და მიწა სავსეა შხამით და გესლით.
ჯონი ქვაფენილზე მშიერი მიდის,
მხარზე აღარ აბია მარცხენა ხელი.
მან იტალიაში დატოვა იგი,
როცა ბრძოლა იყო მკაცრი და ცხელი.
მის თვალში ცხოვრების იმედი არ ჩანს,
არა აქეს კაცური არც ლუქმა, არც ძილა.
მას მხოლოდ ერთი ხელითა დარჩა
და ისიც სამათხოვროდ გაწვდილი.
შავი პურის გარდა ჯონს არა უნდა რა.
— პურის ნატეხი მიბოძე, ქალო! —
მაგრამ ვაშინგტონში მათხოვრის მუდარას
სიკედილის გარდა ხომ არვინ სწყალობს!
ის თითქოს ეწია დიდი ხნის წადილს,
წალგა მდიდარი სასახლის კარებს.
— ან პური მომეცით, მოისხით მადლი,
ან აქვე კარებთან მომქალით ბარემ.
ჯონს ალარ დასჭირდა მუდარა გრძელი,
ხელი ჰყრეს, დაეცა, არავინ იცოდებს.
მან, იტალიაში დატოვა ხელი
და აქ ქვაფენილზე დატოვა სიცოცხლე.
ჯონი სამუშაოს ითხოვდა,
არ მისცეს იგი,
ლუქმა-პურს ითხოვდა,
არ მისცეს იგი,
სიცოცხლეს ითხოვდა,
არ მისცეს იგი.
და როცა სიკედილი ითხოვდა ბოლოს,
ამერიკაშ უარი არ უთხრა მაშინ,
საფლავის მიწა არ მისცა მხოლოდ:
ჯონი იმ დღესვე ისროლეს წყალში.



მებრძოვებზე

პოლ რობერტი

პოლ რობსონი! — მთელ მსოფლიოში ცნობილია
თვეს ეს სახელი.

ვინ არის იგი? — ზანგი მომლერალი ჩრდილოეთ აშე-
რიცხა შეერთებული შტატებიდან.

როცა ეცნობი ამ დიდებული ადგმიანის — ხელოვანისა და მოღაწის—ცხოვრებას, შენ თვალწინ გადაიულება შძიმე გზა, განვლილი მის მიერ.

რობსონი ჩრდილოეთ არმლინელი პლანტატონების
გვარია. დღევანდელი სახელმოანი მომღერლის შამა —
იმ პლანტატონების მონა — ამ გვარს ატარებდა. ექვსწელის
შლის პოლს, უკელაზე უმცროსს თავის და-ძმებში,
გარდაცვალა დღდა. პოლ რობსონის შამას—პლანტა-
ტონების მონას—უმძიმდა არაადამიანური ჟირმით ურ-
ჩინა თავისი ექვსი შვილი, ესწავლებინა შეთვების
გზაზე დაყენებინა ისინი.

ଏଇରୁଣ୍ଡକ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରେଷ୍ଠ ମନ୍ଦିର ପର୍ବତରେ ଉଲ୍ଲେଖିତ
ଏହି ପାତ୍ରରାମପିଲାଙ୍କ୍ଷେତ୍ର ପ୍ରକଳ୍ପିତ ଯେତ୍ରାମାରୀତାପରିବର୍ଦ୍ଧନୀୟ
ଗାନ୍ଧି ରାଜାଙ୍କରୁଣ୍ଣ, ରାଜରାଜୀବପୁଣ୍ୟ ଅନ୍ତମିନ୍ଦରେ,

ბრნების ჯილდომ—დაიდა ფიზიკურმა ძალაშ—ხელი შეუწყო პოლ რობსონს გაურღვია მის გარშემო შემოწოლილი წყვდიადი ამერიკული ცხოვრებისა და ხალხში გამოსულიყო. რომ ესწავლა, სწავლისათვის დაწესებული გადასახადები რომ ეხდა, იგი იძებნებოდა იყო არაადამიანური მძიმე შრომა გაეწია. რობსონი მოქამარის მიღილიდა ფერმებში, მუშაობდა აგრძის ქრისტანული, უზარმაზარ სახე ყუთებასა და ტომრების ეჭილებოდა ნაცადგაორებში, რეცავდა მუშალებს კაფეში, გამოიღილდა რინგზე, თამაშებდა ფეხბურთს. ასეთი შრომით შეძლო მან მიეღო ცოდნა, უსაღლესი განათლებაც კი: რობსონმა უნივერსიტეტის იურიდიულ და უსატესო დამათავრა. აი იგი უკვე დიპლომიანი იურისტია, მან იცის კანონები, მაგრამ ზანგი იორჩისტი სათვის ხომ ამერიკაში ყველა გზა დაკტილია! სამართლი და კანონები, რომელიც მან უნივერსიტეტში შეისწავლა, არ იცავს უბრალო ადამიანს—მასვით დაჩაგრულს, უუფლებოსა და ექსპლოატაციის ბნელ ძალებისაან გათელილს.



302 6086060

რომ არჩევნებში მთხოვილეობის მიღების საშუალება ჩეხებათ მხოლოდ მდიდრებს, ესე იგი ამომჩრდელთა სულ მცირე რაოდენობას. უმუშევრობის სამშობლო ქვეყანაში—ამერიკაში—ზანგი, რაგინდ მაღალი კვალი-ფიკაციის სპეციალისტი იყოს იგი, სამუშაოზე მიიღება მხოლოდ უკანასკნელ რიგში.

ზანგებს, რომელთა რიცხვი ამერიკის შეერთებულ
შტატებში მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს,
უდიდესი გავლენის მოქდენა შეუძლიათ ამერიკის პო-
ლიტიკურ ცხოვრებაზე, თუ ისინი ადამიანურ უფლე-
ბებს მოიპოვებენ.

სწორედ თავისი ხალხის ამ უფლებების მიპირვებისათვის იძრდების შავკანიანთა საუკეთესო წარმომადგენლები პოლ რობსონი.

ରୁଦ୍ରାଶ୍ଵାତ ପୂର୍ଣ୍ଣ ରୁଦ୍ରବେନିଶାତଙ୍କୀଳ, ରୁଗ୍ରାହର୍ତ୍ତ ଶାନ୍ତିକା
ପୁରୁଷଶ୍ରୀଶାତଙ୍କୀଳ, ପ୍ରୟୋଗ ଶାତା ଦ୍ୱାରାପ୍ରେତିତା, ମାନ ମିମାରିତା
ପ୍ରଥମର୍ଗର୍ଭଦିଲା ଏବଂ ଦର୍ଶନଲୋକ ସେବା ସାମ୍ଭାଲ୍ପର୍ଦ୍ଧାବୀଳ.

ბუნებამ პოლ რობერტი კიდევ ერთი შესაძლებლობაზთ დავგილდოვა—მიანერა მას გასაცრად ჯარები ჩმა — ხავერდოვანი, გულში ჩამწერომი, ტყბილი ბარი-ტონი. მეგობრები მას ურჩევნ ემსახუროს სცენას, იმღეროს, შესწიროს თავი ვოკალურ ხელოვნებას.

და იგი ირჩევს მომლერლის პროფესიას.

ମାଗରୁ କେ ଆନଗୀ ଦା ମନମ୍ଭରାଲୀ, ଶାନ୍ତି ଦା ସଫେନ୍
ଅଭିରୂପାଶି?! — ଏହି କୋଟ ଦ୍ୱାରାମତିପୁରୀବେଳୀ, ନାର-ସ୍ଵାମୀଟ
ଦାନ୍ତର୍ଭାଲୀ ହଜୁ ଅଭିରୂପାଶି ଆନଗୀବାଟିବେ.

ଦେଖିଲୁ ହନ୍ତକେଣିବୁ, ହରଗାନ୍ଧି ମିଳିଲେହାଲୁ, ପିଠ୍ୟୁଶ୍ଵାସ
1924 ଜ୍ୟେଷ୍ଠ ବାରଦିନୀ ପାତାରୁ ଉପରେକାଥେ ନିୟ-ନିର୍ବିକାଶ
ଛାନ୍ଦାରୁ କ୍ଷୁରହାଲୁଥି — ବାହୁଲ୍ୟମଥିଲା. ଏହି ତାଙ୍କିରୁ ପିଠ୍ୟୁଶ୍ଵାସ
ଲୋପ ବାରଦିନୀକୁ ପାତାରୁ କ୍ଷୁରହାଲୁଥିଲା ସାଧାରଣୀୟ ମିଳିଲେହାଲୁ.
ମାତ୍ରାରୁ ବୈଚି ଏହି କରିବାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

რად და უფლებრივად გარანტირებულ მოქალაქედ ამერიკაში. იგი მთელი ოვეებით უშუშევარია, იგი მართლაც თავისუფალია „თავისუფალ“ ამერიკაში, მაგრამ თავისუფალი... სამუშაოსა და ფულისაგან!

ამის შემდეგ პოლ რობსონმა განვლო ცხოვრების მეტად მრავალფეროვანი, საინტერესო გზა. მისი პიოგრაფია სახესა ხეტალით ამერიკის დაბაქალაქებში, მოგზაურობით თავისი „საშობლოს“ გარე.

პოლ რობსონს არ ავიშუდება 1934 წელი, საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში გატაცებული დღეები. აյ მან თავისი თვალით ნახა სოციალიზმის ქვეყნის ძლიერება, მისი ზრდა, მისი ეკონომიკისა და კულტურის აუფავება, ხალხთა ბედნიერება, ადამიანის პირინების თავისუფლება. აյ, საბჭოთა კავშირში, იგრძნო მან თავი ადამიანად. ამაყად, მოქალაქეთა სმიგათით გარემოცული დადიოდა იგი მოსკოვის ქუჩებში. მოსკოვში ჩამოიყანა მან საშავლებლად თავისი შვილი — პატარა პოლი, რათა აღზარდა იგი ისეთ ბედნიერ ადამიანად, როგორადაც ჩვენი ნორჩი თაობა იზრდება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერმა ცხოვრებამ პოლ რობსონი ახალი ძალით აღართო თავის ქვეყანაში მჩავრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ პოლ რობსონი მშრომელთა წინაშე გამოიდიოდა არა მარტო როგორც მომღერალი, არამედ როგორც რარორი, აცნობდა მათ საბჭოთა კავშირის ცხოვრებას, მოუწიდებდა თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

ამერიკის მმართველი წრეებისათვის შეუმჩნეველი როგორ ჩემობით მომღერალ-ორატორის ეს გამოსვლები. ისინი, ცდილობდნენ ჩაეხშოთ თავისუფლებისათვის მამაცი მებრძოლის მგზებარე ხმა. მას აუკრძალეს პოლიტიკური სიტყვებით გამოსვლა აუდიტორიის წინაშე. არა ერთხელ დასხმიან მას თავს პოლიციელები, მაგრამ ზანგი თანამომმები და თეორიანიანი მშრომელები საკუთარი სხეულთ იცავდნენ საყარელ მომღერალსა და ტრიბუნს. პოლ რობსონ მოელი ჩავრცელი ზანგი ხალხის, ამერიკელი მშრომელი ხალხის გულისთქმას გამოხატვადა თავისი სიმღერებითა და სიტყვებით: „ჩვენ არ გვინდა მო! ჩვენ იარაღს არ ავიღებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ! ჩვენ მშვიდობა გვინდა!“

ზანგმა ხალხმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს მომავალი მოი, რომელსაც ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები აჩაღებენ. „ჩვენ არ გომგებთ ჩვენი მჩავრელების მხარეზე“ — ასეთია ამერიკელი ხალხის გულისთქმის გამოხატველი სიტყვა პოლ რობსონი.

ამერიკამ ნება არ დართო პოლ რობსონს გამგზავრიბულიყო პოლონეთის დეავაზალქ ჯარშავაში, სადაც მას, როგორაც დილეგასტ, მონაწილეობა უნდა მიეღო მშენებლის მომხრითა მსოფლიო კონგრესზე.

მაგრამ კონგრესმა მაინც მოისმინა პოლ რობსონის ამდილვებელი, აულში ჩამწვდომი ხმა მისამობისა. კონგრესი ქარისხალისებრი თვალით შეხვდა პოლ რობსონის „მშვიდობის სიმღერას“. ეს იყო ფირზე ჩაწერილი.

ეიორიმ პოლ რობსონს „მშვიდობის სიმღერისათვის“ მშვიდობის საერთაშორისო პრემია მიანიჭა.

ქ. ლოლაძე

პრაქტიკული სამუშაოები

საუკუნეების მანძილზე თავისუფლება ხელფეხშეკრული იყო რუმინეთში. თავისუფლებისათვის მებრძოლებს საპყრობილებში ყრიდნენ, ხოლო მათ თანამერანიბით აბუჩად და მასხარად იგდებდნენ. რუმინელი კომუნისტები — რუმინელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ეს მგზნებარე მებრძოლები — წლების განმავლობაში იტანჯებოდნენ საპყრობილეთა ჯურლმულებში.

პრახოვოს წარმტაც ხეობაში გავლისას მგზავრი უნგებლიერ მიაქცევს ყურადღებას ერთ ნაგებობას. ეს ნაგებობა თავისი გარეგნობით მოვაგონებს ვერა იმბობას, რომელიც მთებს შორის ცოცავს და ქსელებს აბამს. იგი წარსულში მართლაც აბობასავათ ხლართავდა ქსელებს და მასში თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს აბამდა. ეს აბობას მსგავსი ნაგებობა არის ცნობილი დოფტანის ყოფილი საპყრობილი. რუმინეთს მიწაზე დოფტონი საშინელ, ჟრუანტელის მომგვრელ აღილად თვლებოდა. ამ საპყრობილის რეეიმის მკაცრ პირობებს ვაუკაცურად სძლევანენ თავისუფლებისათვის მებრძოლი რუმინელი კომუნისტები. დოფტანის ერთსა და იმავე კამერებში მრავალი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ რუმინელი ხალხის საამაყო მშვილები გუორგოუ-დეჟი და მისი გაუტეხელი თანამებრძოლები.

იმავე პრახოვოს ხეობაში, ლოფტანიან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, დაბა სინაიაში, აღმართულია მეტი კონცენტრაციის კონცენტრაცია სისახლე. მის ირგვლივ მონიბლავად დგანან ასწლოვანი უზარმაზარი ნაძვები და ფიტები. ამ სილამაზეს აგრძელებს წარმტაცი მთების ჯაჭვი. სასახლეში ოთხასმაღე დარბაზი რა თახანია. ამჟამად როდეტანისა და სინაიაში მუშეულებია მოწყობილი. მათი კარგი კვილასათვის ღიაა. ამ ორი მუშეულის მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს: მათი დათვალიერებით უბრალო ხალხი თვალინათლად რწმუნდება თუ როგორ იტანჯებოდნენ მათი მშვიდობი დოფტანში და რა განცხრომით ცხოვრობდა მეტე სინაიში.

რუმინელმა ხალხმა გმირი საბჭოთა ხალხის დახმარებით მოიპოვა საუკუნეობით ნანატრი თავისუფლება. მისი შრომა ბარაქიანი და სახალისო გახდა.

რ. ბარათელი



ალიო ადამია

მხატვარი შ. ცხადაძე

ზეგვა ჰაბურაიძე

მთხოვთ სახე

ბევრი თქვენთაგანი უთუოდ არ ყოფილა
მთათუშეთში, გაონებით კი, დარწმუნებუ-
ლი ვარ, მთათუშეთი ყველას გაგიგონიათ.

მთათუშეთი საქართველოს ერთი ლამაზი
მხარეთაგანია და, როგორც მისი სახელი
გვიჩვენებს, თუშეთის მთებში მდებარეობს.

რამდენიმე წლის წინათ ჩემმა ამხანაგებ-
მა და მე მთათუშეთში იძ გზით ვიმგზავ-
რეთ, რომელიც ატის ხილხზე გადადის.

ჯერ თელავიდას ახმეტაში ჩავედით, მე-
რე თუშეთის სოფელ ზემო ალვანს ვეწვიეთ.
ალვანში ჩასვლისთანავე გავიგეთ, რომ
მწყემსების ერთი ჯგუფი სწორედ მეორე
დღეს მიღიოდა მთათუშეთის სამოვრებზე.
ეს ჩენოთვის დიდად სასიხარულო ამბავი
იყო, რადგანაც თვითონ გამოცდილი
მწყემსებისათვისაც საძნელოა მთათუშეთის
ქარაფიან კლდეებზე მგზავრობა.

დილადრიან შევახტით ცხენებს და გავუ-
დექით გზას.

ავყველით მდინარე სტოვის ვიწრო ხეობას,
გავიარეთ სოფელი ლეჩური, კიდუკის ქარა-
ფი, თორლვას აბან და მეორე დღეს მიგა-
დექით ახაეტის ქედს, რომლის სიმაღლე
ზღვის დონიდან სამათას მეტრზე მეტია.

ზაფხული იყო, ახაეტის ქედზე კი მუხ-
ლამდე თოვლი დაგვეკვდა, სუფთა, მტვერ-
წაყურელი. იფიქრებდით, ეს არის ახლახან
დაუთოვიაო; ქედის მწვერვალი იყო თოვ-
ლიანი, თორემ ფერდობებზე მაღალი ბალა-
ზი ბიბინებდა. მთათუშეთის მთებში ზაფხუ-
ლობით ამ ბალახისათვის მოერედებიან
ცხვრის ფარებს თუში კოლმეურნეებრა.

როგორც კი ახაეტის მწვერვალს დავად-
გით ფეხი, ჩენს თვალშინ გადაშალა წარ-
მტაცი სანახაობა... მაგრამ მთათუშეთში
მგზავრობით მიღებულ შთაბეჭდილებებს

სხვა დროს მოგიყვებით, ამჟამად მინდა
გიამბოთ იმ პატარა მწყემსი ბიჭის შესახებ;
რომელიც მთათუშეთში ყოფნისას გავიცანი.
ეს ბიჭი — ზეზვა ჭაბუკაიძე — ახლაც
მთათუშეთის მაღალმთიან სოფელ ომალოში
ცხოვრობს.

მაშინ, სამი წლის წინათ, შევპირდი ზეზ-
ვას, რომ მისი ვეუცობის ამბავს დავწერდი
და გამოვავეყვებდი, მაგრამ როგორლაც
მიმრჩა ეს საქმე და აი, ახლახან მივიღე
ზეზვა ჭაბუკაიძისაგან წერილი.

იგი მწერს: „მე ახლა მეშვიდე კლაში
ვარ. წარმატებით ვსწავლობ. სისტემიტურად
ვკითხულობ გაზეთ „ნორჩ ლენინელს“; უზ-
ნალებს „პიონერს“ და „დილას“. ამ ბოლო
ხანებში გამოცემული ყველა საბავშვო წიგ-
ნი წავიკითხე, მაგრამ ვერსად შეცხვდი
თქვენს იმ მოთხოვნას, რომლის დაწერასაც
უეპირდით. ეგებ დაგავიწყდათ დაპი-
რება?“

გართალია ზეზვა, მე დამნაშავე ვარ მის
წინაშე, და ახლა მინდა გამოვისყიდო ეს
დანაშაული.

1

მაისში ზემო ალვანის კოლმეურნეობის
მწყემსებმა ორმოცდათათასიანი ცხვრის ფა-
რა „შირაქიდან მთათუშეთის მთებისკენ გა-
რეკეს და იგნისის შუა რიცხვებში სოფელ
ომალოს მიაღწიეს.

მწყემსების ბრიგადირმა გაბო ცაძიკიძემა,
რომელსაც ამხანაგებმა მეტსახელად „ხევ-
სურა“ შეარქება, საჭიროდ სცნო დალლილი
ცხვრის ორი-სამზ დღით ომალოში და ომა-
ლოს ახლომახლო მდებარე ფერდობზე დაე-
სვერებინა და მხოლოდ ამის შემდეგ გაერეკა
მთათუშეთის მთებში.

გაზაფხულის მიწურულსა და ზაფხულში მთათუშეთის სოფლებში საქმიანი თბილა. ნაბაზწაზურული მწყემსები ღია ცის ქვეშ სუფთა ჰაერზე იძინებენ, ცხადია, რიგრიგობით, რადგან ღამით ფრთხილი ყურისგდებაა საჭირო, რომ მგლები ქურდულად არ შემოეპარონ ფარას და არ დატაცონ ცხვარი.

ხევსურას თავის ბრიგადაში უმცროს მწყემსად ახლდა დისტული რევაზი, თექეს-მეტი წლის ჭაბუკი, ზემო ალვანის საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე.

როცა რევაზი ალვანში შირაქიდან გზად-გამოვლილ ბიძამისს შეეხვეწა უმცროს მწყემსად გამიყოლეო, მას ორი რამ აინტერესებდა: მისი უპირველესი სურვილი იყო ენახა ავალმყოფი დედა, რომელიც ერთი თვის წინათ წავიდა სამჯურნალიდ მთათუშეთის სოფელ შენაქოში, მეორე, ის რომ მთებზე აკიდებული ვიწრო ბილიკების, კლდეებზე მოჩერიალე ჩანჩქერების, თვალწარმტაცი და დაბურული ტყეების, ჩაღვა თუშეთისა და გომერნიის ხეობების უცნაური მდინარეების შესახებ ბევრი რამ მოუსმენია მწყემსებისაგან, მაგრამ ნახვით კი არ ენახა...

უსაზღვრო იყო რევაზის სიხარული, როცა ხევსურამ ომალოში შესვენება გადაწყვიტა. აქედან სოფელ შენაქოში ექვსიოდე კალმეტრია და რევაზი ადგილად მოახერხებდა ავალმყოფი დედას ნახვას.

ომალოში დაბანაების მეორე დღეს რევაზი შეუთანხმდა თავის ამხანაგს გიორგის, რომ იმ ას ცხაას, რომელიც ამათ ებარა სამეტვალყუროდ, დღისით რევაზი მოაძვებდა, ოღონდ ლაშით როგორმე გიორგის უნდა ეგონ ყური.

ახალ შეღამებულზე რევაზმა დატოვა ფარა და შენაქოში წავიდა. მწყემსებმა ცხვარი დაბაზინავეს. ძაღლებს თავიანი ადგილები მიუჩინეს, ცეცხლი გააჩარეს.

თბილი და წყნარი ღამე იყო. მთვარას შუქე ბზინავდა ახატის თოვლაანი ქედი. მწყემსების ერთმა ჯგუფმა უკვე ივახშა და ის იყო მოდარაჯე ამხანაგების შეცვლას პირებდა, რომ უცებ ომალის დიდ ფერდობზე დაბანაებული ცხვარი აიშალა და ძაღლებმა გამაყრუებელი ყეფა ატეხეს.

გამოცდილი მწყემსები ადგილად მიხვდნენ, რომ ფარის უეცარი აშლის მიზეზი მგელი იყო... თოვები გაისროლეს და სირბილით გაქანდნენ ფერდობისკენ.

მალე მივიღნენ, მაგრამ მგელს უკვე მოესწრო თავისი საქმე — მას არათუ ერთი ცხვარი გაეტაცნა, არამედ ცხვრების პატარა ჯგუფი მოეწყვიტა ფარისაგან; ეს უფრო იმის

გამო მოხდა, რომ ვერძი რქაკაუჭა ალაბა და იმის ნაცვლად, რომ მგლის თავდასახლისას თავისი ჯგუფით ფარას შემომწერდორებოდა, განაპირდა, ხოლო შემდეგ ხევისებ გამოირა და ცხვრებიც, როგორც წესი, მას გაჟყვნენ.

... დიდი ხევისაკენ, თავდალმართზე, თავაწყვეტით მიქროდა რქაკაუჭა, მას დამტროთხალი ცხვრები მისდევთანენ, ხოლო ცხვრებს მსუნავი მგელი დაღვენებოდა; გაავებული ძალები წკავწავით და ყეფით კვალდაკვალ მიჟყვნენ მგელს ხევამდე, ხოლო როცა მგელი ცხვრებიანად ხევში ჩაიმალა, დარცხევილი ძუნძულით გამობრუნდნენ უკან.

2

ოდნავ ინათა თუ არა, რევაზი დაემშვიდობა დედას.

ვიწრო ბილიკებს ნაჩვევი ცხენი გამოაქროლოს სკელისენ. მთათა მწყერვალებს თეთრი, მსუბუქი ნისლი ეფინა, დილის ნიადი ქროდა, დაბურული ტყე ბუბუნებდა.

დედის ნახვითა და ტკბილი საუბრით გულგახალისებული მობრუნდა რევაზი ომალიძი, მაგრამ როგორც კი გაიგო ღამით მომხდარი ამბავი, გული ეტკინა, თან შიშმავიტანა: იცოდა — დატუქსავდა წესრიგის მოყვარული ხევსურა.

... ცაშეტი ცხვარი გაეტაცნა მგელს, არ ჩანდა ხევსურას უსაყვარლესი ძალი გულბათი — ბევრი მგლის დაძჭრი და გამგუდველი. გიორგიმ არც ის დაუმალა რევაზის, რომ ბიძამისმა შუხელვე მოიკითხა რევაზი და როცა გიორგიმ შახასენა შენაქოში წავიდა, აშკარა იყო, არ ეამა, თუმცა არაფერი უთქვავს.

რევაზის შუხილს ის ამძიმებდა, რომ სწორედ გიორგისა და რევაზის ფარიდან იყო დატაცებული ცხვარი...

სუზმის შემდეგ მწყემსები იხმო ბრიგადირის და გახარგულება გასცა დაძრულიყვნენ.

როცა ცხვარი აიშალა და ვიწრო ბილიკით აღმართს აკყავა, წინ მიმავალ ხევსურას დაეჭირა რევაზი და დაბალი, მოკრძალებული ხმით თხხოვა წება დაერთო ერთი დღით დარჩენილიყო მოალოში — ახლომახლო ხევებში ეგებ როგორმე ეპოვა გადარჩენილი ცხვარი ან გულბათი.

ბრიგადირმა, იმ პირობით, რომ მეორე დღეს ომალოში ზემო ალვანიდან მწყემსების ახალი ჯგუფი და ვეტექიმი უნდა ამოსულიყო და რომ რევაზი მათ გაძოჰყვებოდა, თანხმობა მისცა დარჩენილიყო.

* * *

მდინარე ალაზანს, რომელიც სოფელ ომალოს სამხრეთით ჩაუდის, ღრმა ხევები აქვს.

აქ ხევებში მხის სხივი იშვიათად ჩაიხდავს, ამის გამო აქ მუდმივი თოვლი და ყინულია. ზოგან ყინულის ვეებერთელა ზოდები თაღლივითაა გადახურული მდინარეზე, და ალაზანი ყინულებებს მიედინება.

გოორგის თქმით, რეკვაუჭა სწორედ აქენ გაძიქცეულა ცხერებიანად და რევაზიც თავდაპირველად ალაზანის ამ ხევებს ეწვია.

საღამოდას იხეტიალა ხევილან ხევში; ერთ ადგილას ცხერებისა და მგლის ნავალევიც აბოვა და იმედი მოეცა, მაგრამ კვალმა ზედ უფსკრულშე მიიყვანა; უეჭველი იყო, თუ ამ უფსკრულში გადაცვივდებოდნენ ცხერები, ცოცხლები ვერ ჩატანდნენ მდინარის ნაპირამდე, მაგრამ გულბათი? გულბათი ხომ დაუგეშვირ ლეკვი არ არის, რომ ხევში გადახეხილიყო? ცხალია, ამ გზით არ წამოსულა რეკვაუჭა...

დაღლილ-დაქანცული და იმედგაცრუებული რევაზი ამობრუნდა ომალოში.

სოფლის კოოპერატივის წინ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. მათი საუბარი მგლის წუხანდელ თავდასხმას შეეხებოდა. როცა რევაზი შენიშნეს, რატომდაც უხერხულობა იგრძნეს, თითქოსდა ესენი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, რომ მეტელი ასე ქურდულად შემთიჭრა ომალოში და ერთის ნაცვლად ცამეტი ცხვარი გაიტაცა.

ახალგაზრდებისგან შორიახლო შეჩერდა რევაზი, ნაბადი გაიფინა მოლზე და წამოწვა. ცამეტი ცხვარი! არა, ცამეტი ცხვრის დაკარგვა არაა პატარა საქმე, მაგრამ გულბათის დაკარგვა უფრო დასანანებელია! რამდენჯერ გადაურჩენია ფარა გულბათი, ზოგჯერ მარტოც შებმია მგლების ხროვას... ცხვრების როგორი ერთგული და უშიშარი მფარველი დაკარგვა ხევსურამ, მთელმა ბრიგადამ!

ნაღლობდა რევაზი, აშენარაა — იმ ღამით თვითონაც რომ ყოფილიყო ცხვართან, ასე არ მოხდებოდა უთუოდ ჩაეძინა გოორგის, თორემ თოფი რომ დროზე გაესროლა, შეშინდებოდა მგელი, და ცხვარიც და გულბათიც გარჩებოდნენ.

ნაბადებები ჰირალმა იწვა რევაზი და ფაქტორი მისცემოდა, შესცემოდა მთათუშეთის მოწმე მენდილ ცას და ძილი ეპარებოდა... ეროვნული

კოოპერატივის წინ თაემოკრილი გამოიყენება საუბარს ყურს უგდებდა ოთხმოცი წლის ბრძანები კობე ჭაბუკაიძე. იგი განმარტოებით იჯდა მოლზე. როცა ყაზავილებმა ხმა გაჟინდეს, მიზეზი უკითხა მოხუცმა. ერთი ახალგაზრდა მივიდა კომესთან და ყურში ჩასჩურჩულა...

— მობრუნდა? აქ, ჩემთან ახლოს არის? — ბოხი, მაგრამ სასიამოვნო ხმით იყითხა კობემ.

— ჩემთან მოდი, ყაზავილო, გული არ დაიღონი! შეუძლებელია, რომ ერთმა მგელმა ცამეტი ცხვარი მოგუდოს, მით უფრო, ძალილიც თუ თან ახლავს.

დაეჯერება კობე ჭაბუკაიძეს, — მას მთელი მთათუშეთი აქვს შემოვლილი, უბილის კობებში უნადირია ჯიხვებსა და არჩევებულება. მთათუშეთის სოფლებში — ომალოში, ჩოლოში, შტროლოთასა და ქუმულაურთაში, ბევრი მწყემსი და მონადირეა კობე ჭაბუკაიძის მიერ გამოზრდილი.

ახლა თვალში სინათლე აქვს გამოლეული, მოკრძალებით ზის მოლზე და იცის — ჩრდილოეთით სონების მთაა წამოჭიმული, სამხრეთით ალაზანი მიმქუსარებს. აი, ხელს იშვერს ქოჭორთას მთისა და დოტკალტოს ზეგნისკებს; ბავშვობიდანვე ამ აღგანილებში იზრდებოდა, ამ მთებში კენესოდა მისი სალამური, ამ კლდებში ჭექდა მისი კაურანი თოფი... ა, თვალში სინათლე რომ პერნდეს



კობე ღილინით გაჟყვა ახალგაზრდებს შინისაკენ.



...ჩანერთა და ჩასძახა ხევებს, და მხოლოდ თავისივე ხმის ეხა გამოიტყო.

კობე ჭაბუკათქეს, ამაღამევე მიაგნებდა გადა-
კარგულ ცხვარს და გულბათს...

ახლოს დაჯდა მოხუცთან რევაზი და კა-
ბებ ბებერი, მაგრამ ჯანიანი მარჯვენა და-
ადვა ყმაშვილყაცის მხარს.

— ნუ დადარღიანდები, ყმაშვილო, ამა-
ღამ ჩემი სტუმარი იყავი, ხვალ დილით ჩემს
შვილიშვილს ზეზვას გაგაყოლებ და ფარს
მოწყვეტილ ცხვარი მოიქცებნება, სადმე ხევ-
ში იქნება შეყუული, შიშისაგან დამფრთხა-
ლი. ისეთი დაგეშილი ძალი მყავს, იმედი,
რომ ადვილად იპოვნის ცხვრის კვალს...

სამორი უღერდა კობეს ბოხი ხმი.

საომოს ნიაქმა დაბერა. აცივდა.

ორი ახალგაზრდა თუში მივიდა მოხუ-
თან. კობე წამოდგა და ლილინით გამჟვა
ახალგაზრდებს შინისკენ, რევაზიც თან გაი-
ყოლა.

3.

ზეზვა ავანზე გამოეგება პაპას და მო-
ხუცმაც, თუმცა უმალვე შეიცნო მისი ნაბა-
ჯების ხმა, მანც იყითხა:

— გბჭო, ზეზვა ხარ? უფრო ახლოს ნო-
და, ხელს რომ შეგახებ, მაშინ ვრწმუნდები,
რომ ნამდვილად ზეზვა ხარ... აი, ეს ყმაშ-

ვილი შეწავით მოსწავლეა, წუხელ რამ
ზგელმა ცხვარი გაიტაცა, ამისი ყოველია:
გაჰყევი ხვალ, მიმოიხილეთ საღმრი ხევი მის
ნება შეყუული; შინ შეიყვანე ყარავილი,
კარგად ავახშეთ და ადოე დაძინეთ, დალ-
ლილია...

კობე ავანზე დაჯდა.

ზეზვამ დიდ ოთახში შეიყვანა რევაზი:
ჭერზე ლამპა იყო ჩამოკიდებული. ზეზვას
უფროსი და, მასწავლებელი თამარი, მაგი-
დასთან იჯდა, წიგნს კითხულობდა. როგორც
კი ოთახში შემოსული ახალგაზრდა სტუმარი
დაინახა, წამოდგა, ხელი ჩამოართვა და
ცნობისმოყვარეობით დაკვირდა.

* * *

დილით ჩეყულებროვზე ადრე წამოხტა
ძლიერიდან ზეზვა. ფრთილი ნაბიჯით გა-
მოვიდა აივანზე.

ომლოს ზეგანს ჯერ კოლე ნისლი ეფინა,
ეძინა სოფელს.

იმედი ამტკირა აივანზე, ახლოს მივიდა
ზეზვასთან და თვალებში შეაცერდა, თათ-
ქოს ეკითხებოდა — საჭირო ხომ არ ვარო.
ერთგულ ძალს კისერზე მოუთაუნა ზეზ-
ვამ ხელი, ეზოში ჩაიყვანა და გაეთამაშა,
შერე სამშარეულოს კარი გამოაღო და იმედს
პური და ცხვრის ხორცემოთლილი ბარკ-
ლის ძვალი გამოუტანა.

თამარიც ადრე ადგა, საუზმე გაუმშადა
ძმასა და სტუმარს, ხოლო მათი საგზალი ჰა-
ტარა გულაში ჩაალაგა.

მთელი ღამე ფხიზლობდა მოხუცი და
სწორედ გათეხებისას ჩაეძინა; გვიან გამო-
ლისტებულმა ინნა, რომ ყმაშვილები ვერ
დარიგა წასვლის წინ, მაგრამ კობე დარწმუ-
ნებული იყო — იმედი არც ერთ ხევსა და ბი-
ლიკს არ დატოვებდა დაუთვალიერებლად.

... შუადღემდე კლდე-ლრეებში სიარულმა
უშედეგოდ ჩაიარა.

გასავათდა იმედი. მგლის რამდენი ნაკვა-
ლევი აღმოაჩინა და ყველა ნაკვალევი უფ-
სკრულში იყარებოდა.

ყმაშვილები ჩრდილში დასხდნენ. არც ერ-
თი ხმას არ იღებდა.

რევაზმა ნაბადი გაიგო და ხეტიალითა და
ფიქრით დაღლილს მალე ჩაეძინა.

ზეზვა თვალგაფაციცებით უცერდა იმედს
და, როცა ძალი თვალთაგან მიემალა, სწრა-
ფად წამოხტა და დაუდევნა.

ალაზნის ღრმა ხევთან შეჩერდა ძალლი, უკან
მოიხედა და პატრონი რომ დაინახა, იმედ-
მიცემული აყეფდა. ერთ ადგილზე წრიალებ-
და და უფსკრულში იხედებოდა.

როცა ზეზვა ხევსპირთან შევიდა, იმედი
მიწაზე გაინართხა, კისერი უჩვეულოდ წაგ-
რძლება, ხევში ჩაიხედა, ჰაერი შეიყონასა და
კვლავ აყევდა. ამით ანიშნებდა ზეზვას—ამ
ხევშია, რასაც ცეკებთო.

ამ მხრიდან შეუძლებელი იყო ხევში ჩა-
სვლა, რადგან ხევის კედელი ერთობ შვეული
იყო და ალაგ-ალაგ მოყინულიც.

ზურგზე გადაუსვა ზეზვამ ხელი იმედს,
ამით თითქოს მაღლობას უჩდიდა გვალას
მიგნებისათვის, მერე დასავლეთისაკენ გახე-
და ხევისპირს—უფრო დაბალი ეჩვენა იგი,
და ზეზვა და იმედი იქითკენ წავიდნენ...

* * *

უკვე საღამო იყო მოტანებული, როცა რე-
ვაზს გამოეღვიძა. თვალები მოითშენიტა, მი-
შოიხედა ირგვლივ, ზეზვის და იძედს თვალი
რომ ვერ მოქარა, შიშაკრავი წამოხტა.

ნამდინარევ თვალებს არ ენდო და ისევ სა-
გულდაგულოდ შეათვალიერა ახლომახლი-
ფერლობები და ხევისპირი.

ნიჭიერი მოჭადაკე

ამას წინათ თბილისას ცენტრალურ საჭადრაკო
კლუბში ჩატარდა სინტერესობ შეკიბრება ჭადრაკში.
შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა
კავშირის ათი უძლიერესი ოსტატი და საქართველოს
ექისა ისტატობის კანდიდატი. ტურნირის მონაწილე-
თა შორის იყო საჭადრაკო სპორტის დაუღალვი მო-
ტიტოფალე, 17 წლის ბუხუტი გურგენიძე. ნორი მოჭად-
რაკეს პირველად უხდებოთა ასეთ საბასუხისმგებლო
შეჯიბრებაში მონაწილეობა. ორი წელი, რაც იგი
დაფასთან ცვდება გაწერთნილ მოჭადრაკებს. გმოც-
დილი ოსტატები და ისტატობის კანდიდატები მას არ
თვლიანენ საშიშ მოწინააღმდეგდ, მაგრამ გურგენიძე
დიდი მონიტორით, მედოვრად იძრმოდა ყოველ პარ-
ტიაში, და აი... ტურნირის უკანასკნელ ტურში
იგი ბრწყინვალედ იმარჯვებს საქეუყნოდ ცნობილ სა-
ერთო სპორტობისო ისტატ ლ. არინბინთან, ისტატებთან:
უკრაინის 1951 წლის ჩემპიონ ა. ზანიკოვ, რ. ლიპ-
ნიცკისთან, შ. კამიშორით; ყაიძით ამთავრებს პატრიას
ოსტატ ს. ფურმანთან. ასეთი შესანიშნავი ფინიში
დახელოვნებული ისტატებისთვისაც კი სასახელოა.
გურგენიძემ ათ ისტატთან შეხვედრიდან 6½ ქულა
მოაგრძოვა, ხოლო 15 შესაძლებლობიდან 8 ქულა, რაც
მისთვის დიდი შემოქმედებითი მიღწევაა. სწავათ შო-
რისას, მხოლოდ ½ ქულა დაკალიდა საბჭოთა კავშირის
სპორტის ისტატის შოდების მოსახლეებლად.

კომიკშირელა ბ. გურგენიძე თბილისის რეკინგზის
მე-3 საშუალო სკოლის მე-11 კლასელი წარჩინებული
მოსწავლედა. იგი ოქტოხს მედალისნობის კანდიდატია.
ჯერ კიდევ პატარამ ისტავლა ჭადრაკის თამაზი, შემ-
დევ დადაოდა თბილისის ბავშვთა ტექნიკური აღზრ-
დის სახლთან ასებულ ჭადრაკის შესწავლელთა
წერეში, სადაც სპორტის ისტატ მ. შიშოვის ხელმძღვა-
ნელობით ეუფლებოდა ჭადრაკის ხელვეზებას.

არა, არსად ჩანდა არც ზეზვა და არ
ამედი.

ბიჭმა სწრაფად წამოიგდო ნაბარაზე მომართებული
ზე, ბაგრამ ვერ გადაეწყიტა საით წასული-
ყო. ერთთავად იფიქრა — ეგებ მოსწყინდა
ზეზვას უშედეგოდ ხეტიალი და შინ წავიდაო,
მაგრამ ეს აზრი ძალე გადაიფიქრა—გამომა-
ღვიძებდა და გამაფრთხილებდაო. უფრო ის
იყო დასაჯერებელი, რომ იმედმა ახალი
კვალი აღმოაჩინა და ზეზვაც მას გაკყვებო-
და... მაგრამ როგორ გაიგოს რევაზშა, უ
საით წავიდა მისი პატარა მეგზური?

დაუსტევინა იმედს და ბასუხი არ იყო...

დაუძახა ზეზვას და ჩაიმიჩუმი არ ისმოდა...
მიმოირბინა ფერდობები, მოიარა ხევის-
პირი, ჩახედა და ჩასძხა ხევებს, და მხო-
ლოდ თავისივე ხმის ეხო გამოესიტყვა.

ახლა კი დარწმუნდა რევაზი, რომ ზეზვა
და იძედი შინ იყვნენ წასული და თვითო-
ნაც დაიმედებული წავიდა სოფლისაკენ.

(გაგრძელება იქნება)



1947 წლიდან დღემდე ნიჭიერი მოჭადაკე აშორ-
კავკასიის რეინგზების სკოლების ჩემპიონია. წელს მან
მოპოვა ისტატობის კანდიდატის საბატიო სახელა.

ნიჭიერი მოჭადაკე ბ. გურგენიძე კომპინაციური
ხასათის მოთამაშება, მას გააჩინა სატურნირის მებრძო-
ლის კარგი ჩვევები — გმძლეობა, მოთმიზება, შრო-
მისმოყვარება. ყველაფერი ეს მისი შემდგომი ზრდის
საწინდარია. მას კიდევ დიდი შრომი მართებს სკად-
რაკი ხელვეზების დაუფლებისათვის, რასაც ის თავი-
სი ბეჭითობით აუცილებლად დასძლევეს.

მ. გიორგიძე



პლენური ორგანიზაციის მუშაობაზე



მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისე არ ზრუნველი გაფართოსათვის, როგორც საბჭოთა კავშირში. „ჩვენი სახელმწიფო, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — იმით განსხვავდება უცვლა სხვა სახელმწიფოსაგან, რომ იგი სახსრებს არ იშურებს ბავშვების კარგი მოვლისათვის და ახალგაზრდობის კარგი აღზრდისათვის“.

დღიდა საბჭოთა ხალხის ზრუნვა ბავშვებზე. 200 ათასზე მეტი სკოლა თქვენთვის გახსნილი ჩვენს ქვეყანაში. 37 მილიონი გოგონა და ბიჭუნა სწავლობს ამ სკოლებში. ერთი მილიონი 600 ათასი მასწავლებელი და გატრიალუბებთ თავს.

თქვენ გვითვით სასუცხოო სასახლები და პიონერთა ბანაკები, ბიბლიოთეკები და თეატრები, საბაზუო რეკინგზები და პარკები, ნორჩი ნატურალისტთა და ტექნიკოსთა საფურიები. თქვენთვის იცემა ჩილონობით წიგნები და სახელმძღვანელოები, საბაზუო გაზეთები და ურნალები. უცვლაფერ ამას თქვენ საშობლო გაძლევთ იმისათვის, რომ გაიზარდოთ მხერი, კულტურული, სიცოცხლით აღსავს მებრძოლნი ლენინ-სტალინის დადი საქმიათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პიონერული ორგანიზაცია, რომელსაც ვ. ი. ლენინის დადაი აქვს მიერთვნებული, თავისი არსებობის მანძილზე განმტკცება და გაიზარდა. აქლი მის რიგებში 19 მილიონი მოსწავლე ითვლება.

კომუნისტური პარტიის დავალებით პიონერულობანიზაციას ხელმძღვანელობს კომუნიზმის მიერთვნებული და ზრუნავს იმისათვის, რომ პიონერული ორგანიზაცია რაც შეიძლება კარგად მუშაობდეს, ხოლო პიონერები და მოსწავლები მტკცედ ითვისებდნენ ცოდნას, იზრდებოდნენ კულტურულწი და განათლებულწი, იზრდებოდნენ სამუშაოების სიუკუნისტურულის სულისკეთებით.

ამას წინათ მოსკოვში შედგა საკავშირო ალკი ცენტრალური კომიტეტის VII პლენური. პლენურმა განიხილა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანის პიონერული ორგანიზაციის მიუშაონა. პლენურმზე მოხსენებით გამოიდა საკავშირო ალკი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამს. ნ. ა. მიხაილოვი. კამათში მონაწილეობა მიიღეს კომიკშირულმა მუშაკებმა, მასწავლებლებმა, პიონერხალმდვანელებმა. პლენურმა მიიღო დადგენილება, რომელშიც მოცემულია მითითება იმის შესა-

ხებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს პიონერული ორგანიზაციის მუშაონა.

